

აკაკი მაჭუტაძე გორის საზოგადოების წევრებს შეხვდა

02 მაისი 2018

"სულ რამდენიმე კვირაა, რაც მთავრობის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შიდა ქართლის გუბერნატორის პოსტზე დავინიშნე. ამ ხნის განმავლობაში, მაქსიმალურად ვეცადე, ნუთი არ დამეკარგა და რეგიონს გავცნობოდი, ვფიქრობ, სხვადასხვა მიმართულებით, გარკვეული ინფორმაცია უკვე გამაჩნია." – ასე მიმართა აკაკი მაჭუტაძემ შეკრებილ გორის საზოგადოების წევრებს. გაცნობითი ხასიათის შეხვედრას, რომელიც გორის მერიის საკონფერენციო დარბაზში მოეწყო, ხელოვნების, კულტურის, მედიცინის, საგანმანათლებლო სფეროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრისას გუბერნატორმა აღნიშნა, რომ გორს აქვს გამორჩეული პოტენციური სოფლის მეურნეობის კუთხით, ასევე, ტურისტული შესაძლებლობებით, სპორტის, კულტურის მიმართულებით, შესაბამისად, გააჩნია სერიოზული პოტენციალი. ამიტომ, მნიშვნელოვანად ჩათვალა პირადად შეხვედროდა და გაეცნო ის ადამიანები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ქალაქის განვითარებაში. შეკრებილებმა გუბერნატორს გორის განვითარებასთან და მის სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები გაუზიარეს. შეხვედრის დასასრულს კი სამომავლო თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ.